

დანართი №1  
საგრანტო ხელშეკრულებაში

საქართველოს გაეროს ასოციაცია  
დოლიძის ქ. 2, თბილისი, 0171, საქართველო

საგრანტო ხელშეკრულება

თარიღი:

გრანტის ნომერი(გამოიყენება ყველა სახის კორესპონდენციაზე): UNAGxx-xxx

გრანტის თანხა: \$ xxxxx

გრანტის ხანგრძლივობა:

პროექტის სახელწოდება:

გრანტიორი ორგანიზაცია:

იურიდიული მისამართი:

მოკმედი მისამართი:

დირექტორი:

ფინანსური ოფისერი:

საგრანტო გადარიცხვები განხორციელდეს:

გრანტიორის ფისკალური წელი:

1 იანვარი – 31 დეკემბერი

ხელშეკრულება დადებულია (თარიღი) საქართველოს გაეროს ასოციაციის (შემდგომში გაეროს ასოციაცია), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირის, ამ შემთხვევაში წარმოდგენილი, აღმასრულებელი საბჭოს მიერ უფლებამოსილი პირის, პროგრამის ხელმძღვანელი ბატონი რამაზ აფციაურის მიერ, და გრანტიორ ორგანიზაციას, (ორგანიზაციის სახელწოდება) შორის (შემდგომში გრანტიორი), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიული პირი, სარეგისტრაციო მისამართით ქ. თბილისი \_\_\_\_\_, ამ შემთხვევაში წარმოდგენილი (თანამდებობა, სახელი და გვარი) სახით.

## 1. გრანტის მიზანი

- 1.1. გაეროს ასოციაციის მიერ გრანტიორზე გაცემული თანხები წარმოადგენს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საკუთრებას, და შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ საქველმოქმედო მიზნებისათვის. გრანტი გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ გაეროს ასოციაციის სახელით აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის 2005 წლის 3 დეკემბერს, ბატონი რამაზ აფციაურის მიერ წარდგენილ საგრანტო განაცხადში აღნიშნული მიზნებისათვის. პროექტსა და ხელშეკრულებას, მისი დანართების ჩათვლით, შორის რაიმე შეუთავსებლობის წარმოქმნის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ამ ხელშეკრულებას.
- 1.2. ყველა აქტივობა შესრულებულ უნდა იქნეს და ყველა ხარჯი გაწეულ უნდა იქნეს საგრანტო პერიოდის განმავლობაში, რომელიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების პირველ გვერდზე. საგრანტო ხელშეკრულების პირველ გვერდზე მოცემული სამონიტორინგო პერიოდი გაეროს ასოციაციას აძლევს გრანტიორის მიერ გრანტის ფინანსებით შესყიდული ტექნიკის ზედამხედველობის უფლებას გაზრდილი ვადებით. ყველა საგრანტო მოთხოვნა ვრცელდება და ძალაშია მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში.
- 1.3. გრანტი განხორციელებული უნდა იქნეს პროექტის მიზნების შესაბამისად, რომლებიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების მესამე დანართში (დანართი №3).
- 1.4. იმ შემთხვევაში თუ გრანტის თანხა იქნება გამოყენებული:
  - აქტივობებისათვის გარდა იმ აქტივობებისა რომლებიც დამტკიცებულია საგრანტო განაცხადსა და ამ საგრანტო ხელშეკრულების დანართ 3-ში;
  - პირველ გვერდზე აღნიშნული გრანტის პერიოდის, ან გაეროს ასოციაციის მიერ დამტკიცებულ გრანტის გახანგრძლივებულ პერიოდის შემდეგ;
  - ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული რომელიმე პუნქტის ან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით
 ყველა ზემოთნათვლილ შემთხვევაში ხარჯი არ იქნება მიღებული და უნდა დაუბრუნდეს გაეროს ასოციაციას.

## 2. საგრანტო პასუხისმგებლობები

- 2.1. გრანტიორი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის განხორციელება ამ ხელშეკრულების პირობებით, ფედერალური რეგულაციებით არაამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის "A Mandatory Reference for ADS Chapter 303", (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ <http://www.usaid.gov/policy/ads/300/303mab.pdf>) და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე გრანტიორი ვალდებულია უზრუნველყოს პირობა რომ გრანტის თანხები და/ან გრანტის თანხებით შესყიდული ქონება არ გადაეცემა სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს, რომელიც არაა გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით.
- 2.2. გაეროს ასოციაცია პასუხისმგებელი არ არის გრანტიორის ვალდებულებებზე მესამე მხარესთან.
- 2.3. გრანტიორი სრულად პასუხისმგებელია გრანტის ფარგლებში გადასახადების გადახდაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.4. გრანტიორი იღებს ვალდებულებას რომ საგრანტო აქტივობები არ მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს გარემოს.
- 2.5. გაეროს ასოციაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გრანტიორის სტატუსს პროექტის წარმატებისათვის. შესაბამისად გაეროს ასოციაცია იტოვებს უფლებას შეაჩეროს გრანტი იმ შემთხვევაში თუ გრანტიორი შეიცვლის სტატუსს რეორგანიზაციის,

- გასხვისებისა თუ მმართველობაში ცვლილებების შედეგად. გადაწყვეტილება გრანტის აღდგენისა თუ საბოლოოდ დახურვის შესახებ მიიღება გრანტიორის ინტერესებისა მის მიერ პროექტის გაგრძელების შესაძლებლობების კარგად გაანალიზების შემდგომ. გრანტიორი ვალდებულია სტატუსთან დაკავშირებით ყოველგვარი ცვლილების შესახებ წერილობით აცნობოს გაეროს ასოციაციას 30 დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ გრანტიორი არ აცნობებს გაეროს ასოციაციას სტატუსის ცვლილების შესახებ ცვლილების განხორციელებამდე, გრანტი შეიძლება შეჩერებულ იქნას გრანტიორის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე. გაეროს ასოციაცია უფლებამოსილია შეწყვიტოს გრანტის მოქმედება გრანტიორი ორგანიზაციის მუშაობის შეჩერების, გაბანკროტების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში.
- 2.6. გრანტიორი ვალდებულია გაეროს ასოციაციას 15 დღით ადრე აცნობოს, ხელშეკრულების პირველ გვერდზე მითითებული იურიდიული და/ან მოქმედი მისამართის ცვლილების შესახებ.
- 2.7. გაეროს ასოციაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროექტის დირექტორის პიროვნებას პროექტის წამრატებისათვის, და შესაბამისად იტოვებს უფლებას დროებით შეაჩეროს ან შეწყვიტოს გრანტის მოქმედება იმ შემთხვევაში თუ პროგრამის დირექტორი დატოვებს პროექტს ან გრანტიორ ორგანიზაციას. გადაწყვეტილება გრანტის გაგრძელების, შეჩერების, თუ საბოლოოდ დახურვის შესახებ მიიღება გრანტიორის ინტერესებისა და შესაძლებლობების კარგად გაანალიზების შემდგომ. გრანტიორი ვალდებულია გაეროს ასოციაციას 15 დღით ადრე აცნობოს პროგრამის დირექტორის წასვლის შესახებ. ასევე გრანტიორი ვალდებულია გაეროს ასოციაციას აცნობოს 3 თვეზე მეტი პერიოდით პროექტის დირექტორის პოსტზე არ ყოფნისა, ან პროექტის დირექტორის მიერ პროექტისათვის გამოყოფილი დროის 25 პროცენტით ან მეტით შემცირებასთან დაკავშირებით.

### 3. გრანტის ფინანსების უკანონო გამოყენება

- 3.1. გრანტის თანხები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საქველმოქმედო მიზნების გარდა სხვა მიზნებისათვის (აშშ-ს Internal Revenue Code 501(c)(3) სექციის შესაბამისად). გაეროს ასოციაციის საქველმოქმედო მიზანს წარმოადგენს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. გაეროს ასოციაციის მოღვაწეობა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდისკენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.
- 3.2. გრანტის თანხები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას პროპაგანდის ან აშშ-ს კანონმდებლობაზე ზემოქმედების სხვა საშუალებებისათვის.
- 3.3. გრანტის თანხები არ შეიძლება გამოყოფილ ან დახარჯულ იქნეს (ბეჭდვითი მასალების გამოცემისა და გავრცელების ჩათვლით) პოლიტიკური კამპანიებისათვის რომელიმე პოლიტიკური ფიგურის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.
- 3.4. გრანტიორი ინფორმირებულია რომ აშშ-ს კანონმდებლობა კრძალავს ფულად გადარიცხვებს, ან რესურსებისა ან სხვა მხარდაჭერის მიწოდებას/აღმოჩენას ინდივიდებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ასოცირებული არიან ტერორიზმთან. გრანტიორი იურიდიულად ვალდებულია უზრუნველყოს ამ კანონთან შესაბამისობა. ეს პუნქტი გათვალისწინებულ უნდა იქნას გრანტის ფარგლებში გაცემული ყველა ქვე-საგრანტო და ქვე-საკონტრაქტო ხელშეკრულებებში. I3224 ბრძანებულების სრული ვერსია, რომელიც ასევე შეიცავს იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების სიას რომლებიც პოტენციურად საფრთხეს წარმოადგენენ, ან დაკავშირებულები არიან ტერორისტულ ორგანიზაციებთან, შეიძლება მოიპოვოთ შემდგომ მისამართზე:  
<http://www.treasury.gov/offices/enforcement/ofac/sanctions/terrorism.html>.
- 3.5. გრანტის თანხები ან/გრანტის თანხებით შეძენილი ტექნიკა არ შეიძლება გრანტის ფორმით, ან ტექნიკური დახმარების სახით გადაეცეს სხვა ინდივიდსა და ორგანიზაციას, გაეროს ასოციაციას წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 3.6. გრანტის თანხები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ხარჯებისათვის, რომლებიც აკრძალულია გაეროს ასოციაციასა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შორის დადებულ ხელშეკრულებაში და ხარჯები რომლებიც არაა გათვალისწინებული ამ საგრანტო ხელშეკრულების დანართ 4-ში (დანართი №4).

- 3.7. გრანტის თანხები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ხარჯებისათვის, რომლებიც აკრძალულია აშშ-ს მთავრობის მიერ დადგენილი მისაღები ხარჯების წესით. საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის იხ. applicable cost principles. Office of Management and Budget Circular No. A-21; ყველა სხვა კერძო არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის იხ. Office of Management and Budget Circular A-122; კომერციული ორგანიზაციებისთვის იხ. Federal Acquisition Regulation (48 CFR 1), Subpart 31.2 და AID Acquisition Regulation (48 CFR 7), Subpart 731.2. ამ დოკუმენტების მოკლე მიმოხილვა მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართ 4-ში. ზემოთხსენებული დოკუმენტები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ზემოთაღნიშნული რეგულაციების მიხედვით ხარჯი შეიძლება იყოს მისაღები ხარჯების სიაში, მაგრამ თუ იგი არაა გათვალისწინებული ამ ხელშეკრულების დანართ 2-ში (დანართი №2) არსებულ ბიუჯეტში, ხარჯი არ იქნება მიღებული და გაეროს ასოციაცია მას არ აანაზღაურებს.
- 3.8. გრანტის თანხები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას პროექტის დირექტორის, ფინანსური ოფიცერის, ან მათი ოჯახის წევრების ბიზნეს პარტნიორის(ების) ანაზღაურებისათვის, ასევე არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ორგანიზაციების ანაზღაურებისათვის, რომელშიც პროექტის დირექტორს, ფინანსურ მენეჯერს ან მათი ოჯახის წევრებს გააჩნიათ წილი/ინტერესი. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ინტერესის საკითხი ბოლომდე გაუკრეველია და მოითხოვს დამატებით ინტერპრეტაციას, ანაზღაურების განხორციელებამდე გრანტიორმა უნდა მიიღოს გაეროს ასოციაციას წერილობითი თანხმობა.
- 3.9. გრანტის თანხების გამოყენება არ შეიძლება საგრანტო პერიოდის გასვლის შემდგომ. საგრანტო პერიოდის გარეთ გაწეული ხარჯები არ ჩაითვლება საგრანტო ხარჯებად და არ მიიღება გაეროს ასოციაციას მიერ. იმ შემთხვევაში თუ გრანტიორი ვერ ასერხებს პროგრამული აქტივობების საგრანტო პერიოდში განხორციელებას, მან მაღვევ, საგრანტო პერიოდის ამოწურვამდე, რომელიც მითითებული ხელშეკრულების პირველ გვერდზე, მინიმუმ 30 დღით ადრე უნდა აცნობოს გაეროს ასოციაციას, და მოითხოვოს წერილობითი დასტური საგრანტო პერიოდის გაგრძელებასთან დაკავშირებით. თუ გაეროს ასოციაცია არ დართავს გრანტიორს საგრანტო პერიოდის გაგრძელების უფლებას, ან თუ გრანტიორი დროულად არ მოითხოვს საგრანტო პერიოდის გაგრძელებას, მაშინ თავდაპირველი ამოწურვის ვადა, რომელიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების პირველ გვერდზე, რჩება ძალაში.

#### 4. ბიუჯეტი და საგრანტო თანხების გამოყენება

- 4.1. ყველა საგრანტო ხარჯი გაწეულ უნდა იქნეს საგრანტო პერიოდის განმავლობაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების პირველ გვერდზე. გრანტის ხარჯები უნდა შეესაბამებოდეს გრანტიორის დამტკიცებულ ბიუჯეტს, რომელიც მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართ 2-ში (ფინანსური ანგარიშგების ფორმები). გრანტიორს შეუძლია 10%-ით აცდეს ბიუჯეტის მუხლს გაეროს ასოციაციას წინასწარი თანხმობის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ ეს აცილება არ გამოიწვევს გრანტის საერთო თანხის გაზრდას.
- 4.2. გაეროს ასოციაციას წინასწარი წერილობითი თანხმობა საჭიროა შემდგომ შემთხვევებში:
- 4.2.1. სახელფასო და საპონორარო ხარჯებში აცილება, მიუხედავად რაოდენობისა
  - 4.2.2. ხარჯების გადაადგილება გრანტიორსა და რომელიმე ქვე-გრანტიორებს შორის
  - 4.2.3. იმ შემთხვევაში თუ გრანტიორს სურს ბიუჯეტის შეცვლა და ეს ცვლილებები აღემატება ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ დასაშვებ ნორმას, ან გრანტიორს სურს ახალი ბიუჯეტის მუხლის დამატება.
- 4.3. თუ პროექტისთვის დამატებითი შემოსავლის მოძიება გახდება შესაძლებელი სხვა წყაროებიდან, გრანტიორი ვალდებულია მაშინვე აცნობოს გაეროს ასოციაციას ამ შესაძლებლობის შესახებ, და გაეროს ასოციაციის დასამტკიცებლად წარუდგინოს დამატებითი დაფინანსების გათვალისწინებით შესწორებული ბიუჯეტი. იმ შემთხვევაში გაეროს ასოციაციისთვის გახდება ასეთი დამატებითი დაფინანსების შესახებ, ხოლო გრანტიორი არ აცნობებს ამ დაფინანსების შესახებ და არ წარუდგენს ახალი დაფინანსების გათვალისწინებით შესწორებულ ბიუჯეტს გაეროს

ასოციაციის დასამტკიცებლად, გაეროს ასოციაცია უფლებამოსილია ერთპირობნულად შეცვალოს ბიუჯეტი ახალი დაფინანსების გათვალისწინებით.

## 5. მგზავრობა

- 5.1. პროგრამულ აქტივობებთან დაკავშირებული მგზავრობა განხორციელებულ უნდა იქნეს ეკონომ კლასით. აშშ განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ავია მგზავრობა უნდა მოხდეს ამერიკული ავიაკომპანიის საშუალებით, თუ ასეთი სერვისი შესაძლებელია. სხვა კომპანიების მიერ შემოთავაზებული მომსახურების უფრო დაბალი ფასის მიუხედავად უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამერიკული ავიაკომპანიას. ყველა იმ შემთხვევაში როდესაც მგზავრობა მოხდება არაამერიკული ავიაკომპანიით გრანტიორმა უნდა მოამზადოს საჭირო დამადასტურებელი დოკუმენტაცია მიზეზების ასახსნელად. უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ სავალდებულო სტანდარტული წესები არაამერიკული არასამთავრობო გრანტის მიმღებთათვის (A Mandatory Reference for ADS Chapter 303) <http://www.usaid.gov/policy/ads/300/303mab.pdf>, თავი საერთაშორისო ავია მგზავრობა.

## 6. ქვეგრანტები

- 6.1. გრანტიორი ვალდებულია მიიღოს გაეროს ასოციაციას წერილობითი თანხმობა ნებისმიერ ქვეკონტრაქტზე, რომელიც გულისხმობს გრანტის ფინანსების მართვის, მთლიანად ან ნაწილობრივ მესამე მხარისათვის გადაცემას. ამგვარი ხელშეკრულების გაფორმებამდე, გაეროს ასოციაციას უნდა გადაეგზავნოს ნიმუში ხელშეკრულება განსახილველად და დასამტკიცებლად. ქვეკონტრაქტი უნდა შეიცავდეს ამ საგრანტო ხელშეკრულების ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ პირობებს; შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალს; ქვეგრანტის თანხას; ქვეგრანტის ხანგრძლივობას; ანგარიშგებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს; გადარიცხვების გეგმას და გზებს; ტექნიკის გადაცემის მექანიზმს თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ქვეგრანტში.

## 7. მომსახურების შესყიდვა

- 7.1. გრანტიორი ვალდებულია დაიცვას ეკონომიური და პრაქტიკული შესყიდვების უზრუნველყოფი პროცედურები და ისარგებლოს ღია და თავისუფალი ტენდერებით. 500 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების მქონე მომსახურების შეძენისათვის გრანტიორი ვალდებულია მიიღოს არანაკლებ 3 წერილობითი სატენდერო განაცხადი.

## 8. ქონების შესყიდვა

- 8.1. აღჭურვილობის შესყიდვის ფასი არის მისი ინვოისში მითითებული თვითღირებულება პლუს დამატებითი მოწყობილობები, აქსესუარები და დამხმარე მოწყობილობები რომლებიც საჭიროა მისი გამართულად მუშაობისათვის იმ დანიშნულებით რისთვისაც იქნა შექმნილი. დამონტაჟების ხარჯი, ტრანსპორტირება, გადასახადები, დაზღვევა და ა.შ. შესყიდვის ფასში იქნება ან არ იქნება შეყვანილი, ადგილობრივი საბუღალტრო სტანდარტების მიხედვით. გრანტიორმა უნდა შეინახოს ყველა შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია: ხელშეკრულება, ინვოისი, გადახდის დამადასტურებელი საბუთები, საბაჟო დეკლარაცია და ა.შ. გრანტიორმა უნდა შეამოწმოს და შეინახოს ასევე მათი ქვეგრანტიორი პარტნიორების შესყიდვების დოკუმენტაცია (იხ. დანართი 4 დამატებითი ინფორმაციისათვის).
- 8.2. გრანტიორი ვალდებულია დაიცვას ეკონომიური და პრაქტიკული შესყიდვების უზრუნველყოფი პროცედურები და ისარგებლოს ღია და თავისუფალი ტენდერებით. 500 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ქონების შეძენისათვის გრანტიორი ვალდებულია შეინახოს არანაკლებ 3 წერილობითი სატენდერო განაცხადის დოკუმენტაცია, და შერჩეული მომწოდებლის სასარგებლოდ მიღებული

- გადაწყვეტილების დასაბუთებული ახსნა (იხ გაეროს ასოციაციას გრანტების მენეჯმენტის სახელმძღვანელო შესყიდვების სრული წესებისათვის).
- 8.3. გრანტიორი ვალდებულია მუდმივად განაახლოს გრანტის თანხებით შესყიდული ქონების სია და პერიოდულად გადაამოწმოს იგი ყოველწლიური ინვენტარიზაციის გზით. ქონების აღწერა მუდმივად მოწესრიგებულად უნდა იქნას შენახული და უნდა შეიცავდეს შემდგომ ინფორმაციას: ა) ქონების აღწერილობა, ბ) მწარმოებლის სერიული ნომერი, მოდელის ნომერი, ან სხვა საიდენტიფიკაციო ნომერი; გ) ტექნიკის ადგილმდებარეობა და მდგომარეობა, და ამ ინფორმაციის თარიღი; დ) შესყიდვის ფასი და თარიღი. გრანტიორი ვალდებულია ადეკვატურად მოუაროს ქონებას და, საჭიროებისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, დააზღვიოს ქონება მოპარვისგან, ხანძარისგან და სხვა შესაძლო დანაკარგებისგან. ტექნიკის შესყიდვის შესახებ გაეროს ასოციაციას ასევე ეცნობება გრანტიორის შემდგომ ფინანსურ ანგარიშში.
- 8.4. ამ გრანტის ფინანსებით შესყიდული ტექნიკა აყვანილი იქნება გაეროს ასოციაციის ბალანსზე მინიმუმ 3 წლით. გრანტიორი ვალდებულია მიიღოს გაეროს ასოციაციის წერილობითი თანხმობა ტექნიკის ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ. ამავდროულად, გრანტიორი ვალდებულია რომ ეს ტექნიკა გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ საგრანტო აქტივობებისათვის. ტექნიკა რომელიც არ გამოიყენება გაეროს ასოციაციის მიერ მხარდაჭერილ აქტივობებზე ან გამოიყენება ამ ხელშეკრულების პირველ გვერდზე აღნიშნული მისამართის გარეთ გაეროს ასოციაციას წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს გაეროს ასოციაციას. ამავდროულად, თუ გრანტიორი ორგანიზაცია დაიშლება გრანტის პერიოდის ამოწურვამდე, ან გრანტი იხურება ამ ხელშეკრულების მეზიდმეტე მუხლის შესაბამისად, გრანტის თანხებით შესყიდული მთელი ქონება უბრუნდება გაეროს ასოციაციას.

## 9. ფინანსური მენეჯმენტი

გრანტიორის ფინანსური მენეჯმენტის სისტემამ უნდა უზრუნველყოს:

- 9.1. პროექტის შემოსავლებისა და ხარჯების ზუსტი, სრული და ყოველდღიური ჩანაწერები. გრანტიორმა უნდა აწარმოოს საგრანტო თანხების სისტემატიური ბუღალტრული აღრიცხვა. გაეროს ასოციაცია ანგარიშებს მოითხოვს დარიცხვის მეთოდით, რაც არ ავალდებულებს გრანტიორს შეცვალოს ორგანიზაციაში დადგენილი საბუღალტრო მეთოდი, მაგრამ გრანტიორმა გაეროს ასოციაციას უნდა წარუდგინოს ფინანსური ანგარიშები დარიცხვის მეთოდით.
- 9.2. ეფექტური კონტროლი გრანტის ფინანსებზე, ქონებაზე და სხვა საშუალებებზე. გრანტიორი ვალდებულია უზრუნველყოს გრანტის ფინანსებით შეძენილი ქონების უსაფრთხოება და ამ ქონების მხოლოდ და მხოლოდ გრანტის შესაბამისი მიზნებისათვის გამოყენება.
- 9.3. ხარჯების რაციონალურობის, დასაშვებობის და გადახდის პროცედურები, ამ ხელშეკრულების და მისი დანართების დასაშვები ხარჯების პრინციპების შესაბამისად.
- 9.4. ბუღალტრული ჩანაწერები დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რომლის საშუალებითაც ადვილად იქნება შესაძლებელი ხარჯების იდენტიფიკაცია, სეგრეგაცია (გრანტის ხარჯების სხვა ხარჯებიდან განცალკევება) და აღრიცხვა. ბუღალტერია უნდა წარმოებდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე გრანტიორმა კომპეტენტური აუდიტის ჩატარების შემთხვევაში ხელი უნდა შეუწყოს და გაუადვილოს მათ მუშაობა.
- 9.5. აუდიტის დასკვნებისა და რეკომენდაციების განხორციელების სრაფი და სისტემატიზირებული მეთოდი.
- 9.6. ამ საგრანტო ხელშეკრულებასთან და მის დანართებთან ასევე ადგილობრივ საკანონმდებლო და საგადასახადო რეგულაციებთან შესაბამისობა.

## 10. დოკუმენტაციის შენახვა

- 10.1. ფინანსური დოკუმენტაცია: ანგარიშები, ფაქტურები, ჩეკები, ქვითრები, საგადასახადო დავალებები, თანამშრომლების დროის აღრიცხვის დოკუმენტაცია, გაეროს

- ასოციაციაში წარდგენილი ფინანსური ანგარიშების ასლები და გრანტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია, შენახულ უნდა იქნას გრანტიორის მიერ მინიმუმ 8 წლის განმავლობაში გრანტის დასრუვიდან.
- 10.2. გაეროს ასოციაციას, ან გაეროს ასოციაციის უფლებამოსილ წარმომადგენელს სრულად უნდა მიუწვდებოდეს ხელი გრანტიორის შესაბამის დოკუმენტაციაზე, რათა შესაძლებლობა ქონდეს საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს აუდიტი, შემოწმება, ამოიღოს დოკუმენტაცია, ან დოკუმენტების ასლები და ა.შ. გაეროს ასოციაციის გრანტის ფარგლებში ამ ხელშეკრულებით დადგენილი დოკუმენტების შენახვის პერიოდში. გრანტიორი ვალდებულია მოთხოვნისთანავე წარმოადგინოს ამ დოკუმენტაციის ასლები და ყოველგვარი მხარდაჭერა აღმოუჩინოს გაეროს ასოციაციას ამ შემოწმების დროს, გრანტიორის პერსონალთან ამ დოკუმენტების განხილვის მიზნით შეხვედრების უზრუნველყოფის ჩათვლით.
- 10.3. სასამართლო პროცესის, საჩივრის, ან აუდიტის წამოწყების შემთხვევაში გრანტიორი ვალდებულია შეინახოს დოკუმენტაცია მანამ სანამ ეს სასამართლო პროცესი, საჩივარი ან აუდიტორული კვლევა არ დასრულდება.
- 10.4. გაეროს ასოციაცია უფლებამოსილია გრანტიორისაგან მოითხოვოს გაეროს ასოციაციას ან გაეროს ასოციაციის უფლებამოსილი პირისათვის კონკრეტული დოკუმენტაციის გადაცემა:
- 10.4.1. გრანტის დასრულებამდე, თუ გაეროს ასოციაცია ჩათვლის რომ საგრანტო დოკუმენტაციას განადგურების ან დაკარგვის რაიმე საფრთხე ემუქრება, და თუ ადგილობრივი კანონმდებლობა იძლევა დოკუმენტაციის გადაცემის საშუალებას.
- 10.4.2. გრანტის დასრულების შემდგომ, თუ გაეროს ასოციაცია ჩათვლის რომ დოკუმენტების შენახვა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არის საჭირო, და გრანტიორს კი ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად არ მოეთხოვება მათი შენახვა.

## 11. აუდიტი

გაეროს ასოციაცია უფლებამოსილია მოითხოვოს გაეროს ასოციაციის მიერ დაფინანსებული აქტივობების აუდიტი. გრანტიორი ვალდებულია მოთხოვნისთანავე წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაციის ასლები. ამ სახის აუდიტისათვის საჭირო თანხები შეიძლება დაიქვითოს გრანტის თანხებიდან, იმ შემთხვევაში თუ ამ სახის ხარჯი გათვალისწინებულია გრანტიორის დამტკიცებულ ბიუჯეტში.

## 12. ფინანსური ანგარიშგება

- 12.1. გრანტიორი გაეროს ასოციაციას წარუდგენს ფინანსურ ანგარიშებს დანართ 2-ში მოცემული ფორმატის შესაბამისად (ფინანსური ანგარიშგების ფორმები). ანგარიშები გაეროს ასოციაციას უნდა გადაეცეს 'გადარიცხვების გეგმა და ანგარიშგების მოთხოვნები' (დანართი №1) -ში მითითებული თარიღების შესაბამისად. ფინანსური ანგარიში ხელმოწერილ უნდა იქნას გრანტიორის პროექტის დირექტორისა და ფინანსური ოფიცერის მიერ, რომლებიც მითითებულნი არიან ხელშეკრულების პირველ გვერდზე, და დაეხმოს გრანტიორის ოფიციალური ბეჭედი. გრანტიორი ვალდებულია წინასწარ წერილობით აცნობოს გაეროს ასოციაციას ანგარიშების წარმოდგენასთან დაკავშირებით ყოველგვარი დაგვიანების შესახებ. ანგარიშები უნდა შეიცავდეს:
- 12.1.1. საანგარიშო პერიოდში მიღებული თანხების რაოდენობას
- 12.1.2. დაბიუჯეტებულ თანხას ბიუჯეტის მიხედვით, დანახარჯებს ბიუჯეტის პუნქტების მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით. საბოლოო ბალანსს ყოველი პუნქტის მიხედვით და ჯამურ დანახარჯს.
- 12.1.3. ხარჯების დეტალური აღრიცხვა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ყოველი ხარჯის შესახებ.
- 12.1.4. გრანტის თანხებზე დარიცხული პროცენტის რაოდენობა (თუ ასეთი რამ არსებობს). გრანტის თანხებზე დარიცხული პროცენტი ჩართულ უნდა იქნას პროექტში, ან დაუბრუნდეს გაეროს ასოციაციას. გრანტის თანხებზე დარიცხული პროცენტები ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებასა და

- მის დანართებში მოცემულ პირობებს. გრანტიორმა უნდა წარმოადგინოს დარიცხული პროცენტის პროექტის აქტივობებში ჩართვის ანგარიში.
- 12.1.5. გრანტის თანხებით, პროგამული აქტივობების შედეგად, მიღებული შემოსავალი (თუკი). ეს შემოსავალი გულისხმობს მომსახურებაზე გადასახადს, მასალების გაყიდვას (პუბლიკაციების ჩათვლით), გამოყენების ან არენდის ქირას, და პატენტებიდან და საავტორო უფლებებიდან შემოსულ თანხას. გრანტიდან მიღებული შემოსავალი უნდა ჩაიდოს პროექტში. გრანტიდან მიღებული შემოსავალი ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებასა და მის დანართებში მოცემულ პირობებს. გრანტიორმა უნდა წარმოადგინოს მიღებული შემოსავლის პროექტის აქტივობებში ჩართვის ანგარიში.
- 12.1.6. ფინანსური ანგარიში აშშ დოლარებში უნდა იქნას შედგენილი. ადგილობრივი ვალუტაში განხორციელებული ხარჯები გადაყვანილ უნდა იქნეს აშშ დოლარებში გრანტიორის მიერ ადგილობრივი ვალუტის შექენისას დაფიქსირებული კურსის შესაბამისად, ან იმ კურსით რომლითაც დაიხარჯა გრანტიორის საკუთარი სახსრებიდან, ან გაეროს ასოციაციის მიერ განხორციელებული ბოლო საგრანტო გადარიცხვის კურსის მიხედვით. თუ გრანტის თანხები აშშ დოლარიდან კონვერტირდება სხვა ვალუტაში, ან ადგილობრივ ვალუტაში მიღებული თანხები კონვერტირდება სხვა ვალუტაში, გრანტიორი ვალდებულია შეინახოს კონვერტაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც აღრიცხავს კონვერტაციის რიცხვს, კონვერტირებული ვალუტის რაოდენობას, კონვერტაციის კურსს, და მიღებული სხვა ვალუტის რაოდენობას. გრანტიორი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისობა უცხოურ ვალუტებთან დაკავშირებულ ადგილობრივ კანონმდებლობასთან
- 12.1.7. შესყიდვის დოკუმენტების ასლებს (მაგ - ინვოისები, ქვითრები, დროის აღრიცხვები, ა.შ.) უნდა დაერთოს ფინანსურ ანგარიშში აღნიშნულ ყველა ხარჯს.
- 12.2. გაეროს ასოციაციას მიერ ფინანსური ანგარიშების მიღება გრანტიორს წერილობით დაუდასტურდება. თუმცა, ეს მიღების ფაქტი შეიძლება გაუქმებულ იქნას დამოუკიდებელი აუდიტის ან გაეროს ასოციაციას უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ადგილზე განხორციელებული კვლევებიდან რაიმე სახის საწინააღმდეგო ინფორმაციის მიღების შემთხვევაში.
- 12.3. გრანტიორი ვალდებულია გაეროს ასოციაციას დაუბრუნოს დაუხარჯავი თანხა საბოლოო ფინანსური ანგარიშის წარდგენის შემდგომ.

### 13. ანალიტიკური ანგარიშგება

- 13.1. გრანტიორმა გაეროს ასოციაციას უნდა წარუდგინოს ანალიტიკური ანგარიშები, რომლებიც დეტალურად აღწერს პროექტის ფარგლებში არსებულ აქტივობებს, მიზნების განხორციელებასა და მოსალოდნელ შედეგებს, როგორც მოცემულია საგრანტო ხელშეკრულების დანართ 3-ში. გაეროს ასოციაციამ ანგარიშები უნდა მიიღოს დათქმულ ვადაში, რომელიც მითითებულია “გადარიცხვების გეგმა და ანგარიშგების მოთხოვნები”-ში (დანართი 1). გრანტიორმა უნდა გაითვალისწინოს რომ ანგარიშის წარდგენის ნებისმიერი მიზეზით გადადება წინასწარ წერილობით უნდა ეცნობოს გაეროს ასოციაციას.
- 13.2. ანალიტიკური ანგარიშის მიღების ფაქტს გაეროს ასოციაცია წერილობით აცნობებს გრანტიორს. თუმცა, ანგარიშის მიღება შეიძლება გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ გაეროს ასოციაციას წარმომადგენლობის მიერ დამოუკიდებელი აუდიტის ან ადგილზე შემოწმების შედეგად აღმოჩნდება ანგარიშში მითითებულის საწინააღმდეგო ინფორმაცია.
- 13.3. გრანტიორმა აქტივობები უნდა განხორციელოს მის მიერ გაეროს ასოციაციაში წარდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულ იქნა გაეროს ასოციაციას მიერ.
- 13.4. გაეროს ასოციაცია აცნობიერებს რომ სამუშაო გეგმები ხშირად საჭიროებს შესწორებებს და ცვლილებებს რათა უფრო ეფექტურად იქნას მიღწეული პროექტის მიზნები. გრანტიორი, დაფინანსების პერიოდის ნებისმიერ დროს, უფლებამოსილია მოითხოვოს “გადარიცხვის გეგმა და ანგარიშგების მოთხოვნების” რედაქტირება პროექტის სამუშაო გეგმის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

- 13.5. გრანტიორმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს გაეროს ასოციაციას იმ არსებითი პროცესების შესახებ, რომლებიც პოზიტიურად ან ნეგატიურად იმოქმედებს პროექტის შედეგებზე.
- 13.6. გრანტიორმა გაეროს ასოციაციას უნდა წარუდგინოს ყველა იმ წიგნის, სტატიის, მონოგრაფიის, ხელნაწერის, ვიდეო და აუდიო მასალის, პროგრამული პროდუქციის ერთი ეგზემპლარი, რომელიც შექმნილი იქნება გაეროს ასოციაციას მხარდაჭერით.

#### 14. საგრანტო გადარიცხვები

- 14.1. გაეროს ასოციაცია საგრანტო გადარიცხვებს შეასრულებს “გადარიცხვების გეგმისა და ანგარიშგების მოთხოვნების” შესაბამისად (დანართი 1). გაეროს ასოციაცია უფლებამოსილია დააყონოს ან გააუქმოს განრიგის შესაბამისი გადარიცხვები, თუ დარღვევა იქნება შემჩნეული ფინანსურ, ანალიტიკურ ან/და აუდიტორულ ანგარიშებში; თუ ფინანსური, ანალიტიკური და/ან აუდიტორული ანგარიშები მიუღებელია გაეროს ასოციაციასათვის; ან იმ შემთხვევაში თუ გრანტიორს ხელზე აქვს დიდი ნაშთი.
- 14.2. დაფინანსების პერიოდის განმავლობაში, გრანტიორი უფლებამოსილია გაეროს ასოციაციასგან მოითხოვოს შეიცვალოს საგრანტო გადარიცხვების გეგმა იმისათვის რომ უკეთესად შესრულდეს მათი ხარჯების მოთხოვნები. მოთხოვნა უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს ხარჯების აღწერასა და მათი ხარჯვის ახალ გეგმას.
- 14.3. საგრანტო გადარიცხვები სრულდება გრანტიორის იმ საბანკო ანგარიშზე, რომელიც მოცემულია ამ საგრანტო შეთანხმების პირველ გვერდზე. დეტალები საბანკო ანგარიშის შესახებ, გრანტიორს მიეწოდება წერილის სახით ბანკის მიერ. გრანტიორი წერილობით დაუყონებლივ აცნობებს გაეროს ასოციაციას საბანკო ანგარიშების დეტალებთან დაკავშირებით მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. საგრანტო გადარიცხვები არ უნდა შესრულდეს გრანტიორის სხვა საბანკო ანგარიშზე, გაეროს ასოციაციის წინასწარი ინფორმირებისა და გაეროს ასოციაციის მიერ წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 14.4. გამონაკლის შემთხვევებსა და გაეროს ასოციაციას შეხედულებისამებრ, გაეროს ასოციაციამ შეიძლება პირდაპირ გადარიცხოს თანხები გრანტიორის მიერ შერჩეულ საქონლის და/ან მომსახურების მომწოდებელზე გრანტიორის ნაცვლად. მსგავს შემთხვევებში, გადარიცხვები მოხდება გრანტიორის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და ეს თანხები ჩაითვლება გრანტის ნაწილად. გაეროს ასოციაცია დასრულებულ გადარიცხვებთან დაკავშირებით აცნობებს გრანტიორის ფინანსურ ოფიცერს, როგორც მოთითებულია ამ შეთანხმების პირველ გვერდზე. გაეროს ასოციაცია არც ერთი შემთხვევაში არ არის ანგარიშგაღებული გრანტიორის ან სხვა პირის მიმართ, გრანტიორის მიერ არჩეული ქონებისა თუ მომსახურების მომწოდებლისათვის პირდაპირი გადარიცხვასთან დაკავშირებულ დანაკარგებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაშიც კი თუ დანაკარგი დაკავშირებული იქნება გაეროს ასოციაციის მიერ დაშვებულ შეცდომასთან.

#### 15. საგრანტო მონიტორინგი

გაეროს ასოციაცია აწარმოებს საგრანტო მონიტორინგს გრანტის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით. გაეროს ასოციაციას წარმომადგენლები უფლებამოსილი არიან ნებისმიერ დროს ეწვიონ გრანტიორ ორგანიზაციას და შეაფასონ პროექტის შესრულების პროგრესი და შედეგები. შესაძლებელია მაგრამ არა სავალდებულო, რომ გაეროს ასოციაციამ წინასწარ აცნობოს გრანტიორს დაგეგმილი ვიზიტის შესახებ.

#### 16. გრანტის დროებითი შეჩერება

- 16.1. გაეროს ასოციაცია იტოვებს უფლებას მთლიანად ან ნაწილობრივ დროებით შეაჩეროს გრანტი მისი ვადის ამოწურვამდე თუ გაეროს ასოციაციას მიიჩნევს რომ აუდიტის ან ადგილზე შემოწმებების შედეგების მიხედვით გრანტიორის შიდა ფინანსური და ადმინისტრაციული რეგულაციები გაუმჯობესებას საჭიროებს; თუ გაეროს ასოციაცია ჩათვლის, რომ პროექტი არაეფექტურად ხორციელდება; ან ამ შეთანხმებაში ჩადებული სხვა პირობების და გარემოებების დარღვევის შემთხვევაში.

გრანტის შეჩერების პერიოდში, გრანტიორს ეკრძალება განახორციელოს გრანტით გათვალისწინებული აქტივობები და განახორციელოს საგრანტო დანახარჯები, როგორც ეს აღნიშნულია გაეროს ასოციაციას მიერ გრანტის შეჩერების შესახებ გაგზავნილ წერილში. გრანტიორის ხარჯების ანაზღაურება გრანტის შეჩერების პერიოდში დაუშვებელია.

- 16.2. გადაწვეტილება გრანტის განახლების შესახებ მიიღება გაეროს ასოციაციას მიერ, მას შემდეგ რაც, ამ ხელშეკრულების 16.1 თავში მოცემული პირობები (მოთხოვნები) იქნება გათვალისწინებული (შესრულებული, დაკმაყოფილებული) გრანტიორის მიერ. გაეროს ასოციაცია წერილობით აცნობებს გადაწვეტილების შესახებ გრანტიორს. ამ შემთხვევაში გაეროს ასოციაციამ შესაძლებელია აუნაზღაუროს გრანტიორს, გრანტის შეჩერების პერიოდში განხორციელებული ხარჯები.

## 17. გრანტის შეწყვეტა

